პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

სამშაბათი, 22 ივნისი, 1943 წ. № 133 (6758). ფასი 20 კაპ.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სსრ კავშირის ორდენებისა და მედლების ლენტების ნიმუშებისა და აღწერილობის და ორდენების, მედლების, საორდენო ლენტებისა და განმასხვავებელი ნიშნების ტარების წესების დამტკიცების შესახებ

1 დამტკიცდეს სსრ კავშირის ორდენებისა და მედლების ლენტების ნიმუშები და აღწერილობა.

2. დამტკიცდეს ორდენებისა და მედლების, ორდენებისა და მედლების ლენტების და განმასხვავებელი ნიშნების ტარების წესები.

3. ძალადაკარგულად ჩაითვალოს წინათ მოქმედი ყველა დებულება ორდენების, მედლების, ორდენებისა და მედლების ლენტებისა და განმასხვავებელი ნიშნების ტარების წესის შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1943 წ. 19 ივნისი.

აღწერილობა

სსრ კავშირის ორდენებისა და მედლების ლენტებისა და საორდენო ლენტების კალაპოტებისა

I. სსრ კავშირის ორდენებისა და მედლების ლენტების აღწერილობა

ლენტი საბჭოთა კავშირის გმირის მედლისა „ოქროს ვარსკვლავი“ და სოციალისტური შრომის გმირის მედლისა „ნამგალი და ურო“

ლენტი წითელი აბრეშუმის მუარისაა. ლენტის სიგანეა 20 მმ.

ლენინის ორდენის ლენტი

ლენტი აბრეშუმის მუარისაა. ლენტს შუაზე სიგრძივ გავლებული აქვს 16 მმ სიგანის წითელი ზოლი, შუა ზოლის ნაპირზე 1,5 მმ სიგანის ორი ოქროსფერი ზოლია ნაპირების ზოლის 1,5 მმ სიგანის წითელი ზოლებია და ნაპირებზე—1 მმ სიგანის ორი ოქროსფერი ზოლი. ლენტის სიგანეა 24 მმ.

წითელი დროშის ორდენის ლენტი

ლენტი აბრეშუმის მუარისაა. ლენტს შუაზე სიგრძივ გადავლებული აქვს 8 მმ სიგანის თეთრი ზოლი, ნაპირების ახლოს 7 მმ სიგანის ორი წითელი ზოლია და ნაპირებზე—1 მმ სიგანის ორი თეთრი ზოლი. ლენტის სიგანეა 24 მმ.

სუვოროვის ორდენის ლენტი

ლენტი მწვანე აბრეშუმის მუარისაა, სიგრძივ გავლებული აქვს ნარინჯის ფერი ზოლები: I ხარისხისას—ლენტის შუაში 5 მმ სიგანის ერთი ზოლი, II ხარისხისას—3 მმ სიგანის ორი ზოლი ლენტის ნაპირებზე და III ხარისხისას—2 მმ სიგანის სამი ზოლი—ერთი შუაში და ორი—ლენტის ნაპირებზე. ლენტის სიგანეა 24 მმ.

კუტუზოვის ორდენის ლენტი

ლენტი მუქი ლურჯი აბრეშუმის მუარისაა, ნარინჯის ფერი სიგრძივი ზოლები აქვს: I ხარისხისას—5 მმ სიგანის ერთი ზოლი ლენტის შუაში, II ხარისხისას—3 მმ სიგანის ორი ზოლი ლენტის ნაპირებზე, III ხარისხისას—2 მმ სიგანის სამი ზოლი—ერთი შუაში და ორი—ლენტის ნაპირებზე. ლენტის სიგანეა 24 მმ.

ალექსანდრე ნეველის ორდენის ლენტი

ლენტი ცისფერი აბრეშუმის მუარისაა, შუაში სიგრძივ გავლებული აქვს წითელი ზოლი. ლენტის სიგანეა 24 მმ, ზოლის სიგანე—5 მმ.

სამამულო ომის ორდენის ლენტი

ლენტი მუქი წითელი აბრეშუმის მუარისაა, სიგრძივ გავლებული აქვს წითელი ზოლები: I ხარისხისას—5 მმ სიგანის ერთი ზოლი ლენტის შუაში, II ხარისხისას—3 მმ სიგანის ორი ზოლი ნაპირებზე. ლენტის სიგანეა 24 მმ.

შრომის წითელი დროშის ორდენის ლენტი

ლენტი მუქი ცისფერი აბრეშუმის მუარისაა, ნაპირებზე სიგრძივ გავლებული აქვს ორი ლურჯი ზოლი, ლენტის სიგანეა 24 მმ, ზოლების სიგანე— 3,5 მმ.

წითელი ვარსკვლავის ორდენის ლენტი

ლენტი მუქი წითელი აბრეშუმის მუარისაა, შუაში სიგრძივ გავლებული აქვს ნაცრისფერი ზოლი. ლენტის სიგანეა 24 მმ, ზოლის სიგანე—5 მმ.

ლენტი ორდენისა „საპატიო ნიშანი“

ლენტი ღია ვარდისფერი აბრეშუმის მუარისა, ნაპირებზე სიგრძივ გავლებული აქვს ნარინჯისფერი ორი ზოლი. ლენტის სიგანეა 24 მმ, ზოლების სიგანე—3,5 მმ.

ლენტი მედლისა „მამაცობისათვის“

ლენტი ნაცრისფერი აბრეშუმის მუარისაა, ნაპირებზე სიგრძივ გავლებული აქვს ორი ლურჯი ზოლი. ლენტის სიგანეა 24 მმ, ზოლების სიგანე—2 მმ.

ლენტი მედლისა „საბრძოლო დამსახურებისათვის“

ლენტი ნაცრისფერი აბრეშუმის მუარისაა, ნაპირებზე სიგრძივ გავლებული აქვს ორი ოქროსფერი ზოლი. ლენტის სიგანეა 24 მმ, ზოლების სიგანე—2 მმ.

ლენტი საიუბილეო მედლისა „მეგზა XX წელი“

ლენტი ნაცრისფერი აბრეშუმის მუარისაა, ნაპირებზე სიგრძივ გავლებული აქვს ორი წითელი ზოლი. ლენტის სიგანეა 24 მმ, ზოლების სიგანე—2 მმ.

ლენტი მედლისა „შრომითი მამაცობისათვის“

ლენტი იასამნისფერი აბრეშუმის მუარისაა, ნაპირებზე სიგრძივ გავლებული აქვს ორი წითელი ზოლი. ლენტის სიგანეა 24 მმ, ზოლების სიგანე—2 მმ.

ლენტი მედლისა „შრომითი წარჩინებისათვის“

ლენტი იასამნისფერი აბრეშუმის მუარისაა, ნაპირებზე სიგრძივ გავლებული აქვს ორი ოქროსფერი ზოლი. ლენტის სიგანეა 24 მმ ზოლების სიგანე—2 მმ.

ლენტი მედლისა „სამამულო ომის პარტიზანს“

ლენტი ღია მწვანე აბრეშუმის მუარისაა, შუაში სიგრძივ გავლებული აქვს ზოლი: I ხარისხისას—წითელი, II ხარისხისას—ლურჯი. ლენტის სიგანეა 24 მმ, ზოლების სიგანე—2 მმ.

ლენტი მედლისა „ლენინგრადის დაცვისათვის“

ლენტი მუქი მწვანე აბრეშუმის მუარისაა, შუაში სიგრძივ გავლებული აქვს მწვანე ზოლი. ლენტის სიგანეა 24 მმ, ზოლის სიგანე —2 მმ.

ლენტი მედლისა „ოდესის დაცვისათვის“

ლენტი მუქი მწვანე აბრეშუმის მუარისაა, შუაში სიგრძივ გავლებული აქვს ცისფერი ზოლი. ლენტის სიგანეა 24 მმ, ზოლის სიგანე—2 მმ.

ლენტი მედლისა „სევასტოპოლის დაცვისათვის“

ლენტი მუქი მწვანე აბრეშუმის მუარისაა შუაში სიგრძივ გავლებული აქვს ლურჯი ზოლი. ლენტის სიგანეა 24 მმ, ზოლის სიგანე— 2 მმ.

ლენტი მედლისა „სტალინგრადის დაცვისათვის“

ლენტის მუქი მწვანე აბრეშუმის მუარისაა, შუაში სიგრძივ გავლებული აქვს წითელი ზოლი. ლენტის სიგანეა 24 მმ, ზოლის სიგანე —2 მმ.

II. სსრ კავშირის ორდენებისა და მედლების ლენტების კალაპოტებისა და თამასების აღწერილობა

საბჭოთა კავშირის გმირის მედალი „ოქროს ვარსკვლავი“ და სოციალისტური შრომის გმირის მედალი „ნამგალისა და ურო“ ტანსაცმელზე სწორკუთხოვანი კალაპოტის საშუალებით იბნევა.

ტანსაცმელზე ლენინის ორდენის, წითელი დროშის ორდენის, შრომის წითელი დროშის ორდენის, „საპატიო ნიშნის“ ორდენის და ყველა სხვა მედლის დასაბნევად ხუთკუთხოვანი კალაპოტი იხმარება.

სუვოროვის ორდენი, კუტუზოვის ორდენი, სამამულო ომის ორდენი, ალექსანდრე ნეველის ორდენი და წითელი ვარსკვლავის ორდენი ტანსაცმელზე უკალაპოტოდ იბნევა—წმირისა და ქანჩის საშუალებით.

უორდენებოდ და უმედლებოდ სატარებლად ლენტები სწორკუთხოვან თამასებზე იბნევა.

სწორკუთხოვანი კალაპოტი საბჭოთა კავშირის გმირის მედალ „ოქროს ვარსკვლავს“ და სოციალისტური შრომის გმირის მედალ „ნამგალი და უროს“ სატარებლად

კალაპოტი წარმოადგენს 15 მმ სიმაღლის და 19,5 მმ სიგანის სწორკუთხოვან ფირფიტას, რომელსაც ჩარჩოები აქვს ზემო და ქვემო ნაწილში. ქვემო ჩარჩოს შუაში მედლის დასაკიდებელი რგოლი აქვს. ფირფიტის მეორე მხარეს ტანსაცმელზე კალაპოტის დასაბნევი მოწყობილობაა.

კალაპოტი ლითონისაა, ოქროთი დაფერილი.

ორდენებისა და მედლების ლენტების ხუთკუთხოვანი კალაპოტი

კალაპოტი წარმოადგენს ხუთკუთხოვან ფირფიტას, რომელიც ცალი კუთხით ქვემოთკენ არის მიჭეტილი. ფირფიტას ქვემო კუთხეში ფიგურიანი ჭრილი აქვს კალაპოტზე ორდენის ან მედლის დასაბნევად. ფირფიტის მეორე მხარეს ტანსაცმელზე კალაპოტის დასაბნევი მოწყობილობაა.

კალაპოტის ფირფიტის სიმაღლე ქვემო კუთხის წვეროდან ზემო გვერდის შუამდე 50 მმ უდრის, ზემო გვერდის სიგრძე—26 მმ, თითოეული ფერდის სიგრძე—39 მმ, ქვემო კუთხის შემქმნელი თითო გვერდის სიგრძე — 26 მმ.

რამდენიმე ორდენისა და მედლის ტარებისას ხუთკუთხოვანი კალაპოტები საერთო თამასსაზე ერთდებიან, ამასთან კალაპოტების ზემო გვერდები ერთმანეთს ებჯინებიან და უწყვეტ სწორ ხაზს ჰქმნიან, ხოლო მარჯვენივ მდებარე თითოეული კალაპოტი ნაწილობრივ ჰფარავს მარცხენა კალაპოტს.

თამასები ლენტების უორდენებოდ და უმედლებოდ სატარებლად

ლენტების უორდენებოდ და უმედლებოდ სატარებელი თამასები წარმოადგენენ ოდნავ ამობურცულ სწორკუთხოვან ლითონის ფირფიტებს, რომელთაც მეორე მხარეს ტანსაცმელზე თამასების დასაბნევი მოწყობილობა აქვს. თამასის სიგანეა 23,5 მმ, სიმაღლე — 13 მმ.

მედალ „ოქროს ვარსკვლავის“ და მედალ „ნამგალ და უროს“ ლენტის თამასები გალვანოფირფიტული არ არის, რადგან ამ ლენტებს უმედლებოდ ცალკე არ ატარებენ.

რამდენიმე ორდენისა და მედლის ლენტის ერთდროულად ტარებისას ლენტები საერთო თამასაზე იბნევა.

წესები

ორდენების, მედლების, საორდენო ლენტებისა და განმასხვავებელი ნიშნების ტარებისა

1. საბჭოთა კავშირის გმირის მედალს „ოქროს ვარსკვლავს“ და სოციალისტური შრომის გმირის მედალს „ნამგალსა და უროს“ **ატარებენ მკერდის მარცხენა მხარეს** ორდენებსა და მედლებს ზემოთ.

„ოქროს ვარსკვლავისა“ და „ნამგალ და უროს“ ორი ან მეტი მედლის ტარებისას მედლები ცალცალკე იბნევა ტანსაცმელზე მწკრივად, ვარსკვლავთა გვერდის ბოლოებს შორის 10 მმ მანძილზე.

2. ლენინის ორდენს, წითელი დროშის ორდენს, შრომის წითელი დროშის ორდენს, „საპატიო ნიშნის“ ორდენს, მედალს „მამაცობისათვის“, მედალს „საბრძოლო დამსახურებისათვის“, საიუბილეო მედალს „მეგზა XX წელი“, მედალს „შრომითი მამაცობისათვის“, მედალს „შრომითი წარჩინებისათვის“ მედალს „სამამულო ომის პარტიზანს“ I ხარისხისას, მედალს „სამამულო ომის პარტიზანს“ II ხარისხისას, მედალს „ლენინგრადის დაცვისათვის“, მედალს „ოდესის დაცვისათვის“, მედალს „სევასტოპოლის დაცვისათვის“ და მედალს „სტალინგრადის დაცვისათვის“ **ატარებენ მკერდის მარცხენა მხარეს.**

ჩამოთვლილი ორდენებიდან და მედლებიდან ორის ან მეტის ტარებისას მათი კალაპოტები მწკრივად ერთდება საერთო თამასაზე, ამასთან ორდენები და მედლები მარჯვნიდან მარცხნივ განლაგდება წესების ამა პუნქტში მათი ჩამოთვლის რიგის მიხედვით. ორდენები და მედლები, რომლებიც ერთ მწკრივში ვერ ეტევა, გადადის მეორე მწკრივში პირველის ქვემოთ. მეორე მწკრივი პირველის გაგრძელებას წარმოადგენს და ორდენები და მედლები აქაც მარჯვნიდან მარცხნივ განლაგდება აღნიშნული რიგით.

ერთი და იმავე სახელწოდებისა და ხარისხის ორი ან მეტი ორდენის ან მედლის ტარებისას ეს ორდენები ან მედლები ერთიმეორის გვერდით თავსდება მარჯვნიდან მარცხნივ. დაჯილდოების დროის მიხედვით.

3. სუვოროვის I ხარისხის ორდენს, კუტუზოვის I ხარისხის ორდენს, სუვოროვის II ხარისხის ორდენს, კუტუზოვის II ხარისხის ორდენს, სუვოროვის III ხარისხის ორდენს, კუტუზოვის III ხარისხის ორდენს, ალექსანდრე ნეველის ორდენს, სამამულო ომის I ხარისხის ორდენს, სამამულო ომის II ხარისხის ორდენს და წითელი ვარსკვლავის ორდენს **ატარებენ მკერდის მარჯვენა მხარეს.**

ჩამოთვლილთაგან ორი ან მეტი ორდენის ტარებისას ეს ორდენები ერთიმეორის გვერდით თავსდება მწკრივად ვარსკვლავთა გვერდის ბოლოებს შორის 5 მმ მანძილზე მარცხნივ ფიგურალური ბოლოებით.

(გაგრძელება იხ. მე-2 გვ.)

საბჭოთა კავშირის სამამულო ომის ორი წელი

(სამამულო ომის მეორე წლისთავისათვის)

ორი წელი გავიდა იმ დღიდან, რაც ჰიტლერული გერმანია უნამუსოდ და ვერაგულად დაესხა თავს ჩვენს სამშობლოს. ორი წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირის ხალხები დაძაბულ ბრძოლას ეწევიან გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ. საბჭოთა ხალხმა და მისმა წითელმა არმიამ გაუძლეს სასტიკ გამოცდას ძლიერი და ვერაგი მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში. უდიდესი გამძლეობა და სიმტკიცე, მამაცობა და თავდადება გამოიჩინეს ჩვენი ქვეყნის ხალხებმა, რომელნიც იცავენ თავიანთი სამშობლოს ღირსებას, თავისუფლებას და დამოუკიდებლობას.

1941 წლის ზაფხულში ფაშისტურმა გერმანიამ ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ გამოიყვანა მთელი თავისი არმია, რომელიც იმ დროისათვის უკვე სავსებით მობილიზებული იყო და შეიარაღებული იყო ათასობით ტანკებითა და თვითმფრინავებით. საბჭოთა კავშირს ომის პირველ პერიოდში არ შეეძლო სავსებით გამოეყენებინა მტრისათვის წინააღმდეგობის გასაწევად მთელი თავისი მძლავრი ძალები, ვინაიდან დრო იყო საჭირო იმისათვის, რომ დაერაზმა ეს ძალები და დაეძრა გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ. ამასთან ჩვენი მოკავშირეები ის იყო მხოლოდ იწყებდნენ საჭურვლის მასობრივ წარმოებას და არ შეეძლოთ მნიშვნელოვანი და სწრაფი დახმარება აღმოეჩინათ საბჭოთა კავშირისათვის. პირველ საზაფხულო კამპანიაში წითელმა არმიამ სერიოზული წარუმატებლობანი განიცადა. მაგრამ მან გაუძლო მტრის მოძალებას, შეუპოვარ თავდაცვითს ბრძოლებში მოჰქანცა და მოსპო მტრის დიდი ძალები. პირველი საზაფხულო კამპანიის დასასრულისათვის გერმანელთა შეტევითი ძლიერება მნიშვნელოვნად შერყეულ იქნა.

უკვე ომის პირველსავე თვეებში აშკარა გახდა, თუ რაოდენ უსაფუძვლო იყო გერმანელთა ვარაუდები საბჭოთა არმიების ელვისებურ განადგურებაზე, საბჭოთა წყობილების არასიმტკიცესა და წითელი არმიის სისუსტეზე. ჩაიფუშა აგრეთვე ჰიტლერელთა ვარაუდები საბჭოთა კავშირის და წითელი არმიის ძალების გამოფიტვაზე. დრო გერმანიის წინააღმდეგ მუშაობდა. საბჭოთა კავშირის ძალები ვითარდებოდა და მტკიცდებოდა ომის მსვლელობაში. 1941-42 წლის ზამთრისათვის წითელმა არმიამ, რომელმაც დაამთავრა თავისი ძირითადი ძალების მობილიზაცია და შეიძინა თანამედროვე ომის წარმოების საჭირო გამოცდილება, თავის ხელში აიღო ინიციატივა და სასტიკი დამარცხებანი აგემა მტერს. წითელმა არმიამ გაანადგურა გერმანელთა ჯარები დონის-როსტოვთან, ტიხვინთან, ყირიმში და მოსკოვთან, ჩაფუშა მტრის გეგმა ჩვენი დედაქალაქის გარშემორტყმისა და აღებისა. წითელი არმიის მიერ მოსკოვის მისადგომებზე გერმანელ ფაშისტთა ჯარების განადგურება გახდა ომის პირველი წლის გადამწყვეტი სამხედრო მოვლენა და მასთან გერმანელთა პირველი დიდი დამარცხება მეორე მსოფლიო ომში. გერმანელთა ამ დამარცხებამ სამუდამოდ გააქარწყლა ჰიტლერელების მიერ შექმნილი ლეგენდა გერმანიის არმიის უძლეველობის შესახებ და ცხადჰყო, რომ წითელი არმია წარმოადგენს მძლავრ სამხედრო ძალას, რომელსაც შესწევს უნარი არა მარტო გაუძლოს გერმანელ ფაშისტთა ჯარების მოძალებას, არამედ კიდევაც დაამარცხოს ისინი პირისპირ ბრძოლაში. 1941-1942 წლის ზამთარში წითელმა არმიამ უკუაქცია გერმანელები დასავლეთისაკენ ზოგან ოთხასზე მეტი კილომეტრით.

1942 წლის ზაფხულისათვის გერმანელებმა, ისარგებლეს რა იმით, რომ ევროპაში მეორე ფრონტი არ არსებობდა, მთელი თავიანთი რეზერვები საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე გადმოიყვანეს და შეჰქმნეს ძალთა დიდი სიჭარბე სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით. ზაფხულის ბრძოლების მსვლელობაში გერმანელებმა მნიშვნელოვან ტაქტიკურ წარმატებებს მიაღწიეს. მაგრამ წითელი არმია მტრის ჯარების შემოტევას შეხვდა შეუპოვარი წინააღმდეგობით და არ განახორციელებინა მათ თავიანთი გეგმები, შეაჩერა რა მტერი სტალინგრადის მისადგომებზე და კავკასიის მთის ძირებში.

1942-1943 წლის ზამთარში წითელმა არმიამ გააქარწყლა გერმანელთა ზაფხულის ტაქტიკური წარმატებანი. 1942-1943 წლის ზამთრის კამპანია მობრუნების პუნქტი გახდა ომის მთელ მსვლელობაში. მან თვალსაჩინოდ ცხადჰყო ძალთა თანაფარდობის შეცვლა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე. გერმანელებმა, მიუხედავად ჰიტლერის უსასტიკესი ბრძანებისა—რადაც უნდა დამჯდარიყო, შეენარჩუნებინათ დაპყრობილი პოზიციები, ვერ შესძლეს თავიდან აეცილებინათ წითელი არმიის ზამთრის შეტევა. წითელმა არმიამ უკუაგდო და დაამარცხა მტრის ჯარები, მოსპო ორი რჩეული ფაშისტური არმია სტალინგრადთან, დაამარცხა და დაატყვევა რუმინელთა, იტალიელთა, უნგრელთა არმიები და მძლავრი დარტყმით უკუაგდო გერმანელები ვოლგიდან და თერგიდან 600-700 კილომეტრით დასავლეთისაკენ. გზა, რომელიც გერმანელებმა გამოიარეს 1942 წლის ზაფხულში აღმოსავლეთისაკენ და რომლითაც ჩვენი ჯარები მიერეკებოდნენ მათ დასავლეთისაკენ, მოფენილია გერმანელ ჯარისკაცთა და ოფიცერთა ასეულათასობით გვამებით, ათასობით დამტვრეული ტანკებით, თვითმფრინავებითა და ქვემეხებით.

მაშასადამე, ომის მეორე წელმა ჰიტლერელებს მოუტანა ახალი უდიდესი ზარალი და არ არგუნა არავითარი მოგება ტერიტორიის მხრივ.

უფრო მეტიც. ამ წლის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა გაარღვიეს მტრის ბლოკადა ლენინგრადთან და განდევნეს მტერი სამხედრო მხრივ მნიშვნელოვანი რაიონებიდან—კურსკიდან, რუევიდან, ვიაზმიდან, გუატსკიდან, ველიკიე ლუკიდან, დემიანსკიდან.

ზამთრის კამპანიის მსვლელობაში გერმანელ ფაშისტთა ჯარებს სერიოზული დამარცხებანი ვაგემეთ. ბრძოლის ველებზე წითელი არმიის დარტყმების გამო აჭრიალდა და შეირყა ჰიტლერული სამხედრო მანქანა. მტერმა სასოწარკვეთილი ღონისძიებანი იხმარა, რათა თავიდან აეცილებინა თავისი არმიის კატასტროფა. ჰიტლერელებმა ოცდაათზე მეტი დივიზია გადმოიყვანეს დასავლეთ ევროპიდან ხარკოვის რაიონში თავიანთი დამარცხებული ჯარების დასახმარებლად. ჰიტლერელები ვარაუდობდნენ ახალი დივიზიების ძალებით გარს შემორტყმოდნენ და მოესპოთ ჩვენი ნაწილები ხარკოვთან და ამით თავის სასარგებლოდ შეეტრიალებინათ საომარი მოქმედების მსვლელობა. მაგრამ, როგორც ცნობილია, გერმანელთა ეს ვარაუდები ჩაიშალა. გერმანელთა ცდები—აეღოთ რევანში სტალინგრადისათვის, ჩაშლილ იქნა ჩვენი ჯარების საბრძოლო მოქმედებით.

განიცადეს რა მთელი რიგი დამარცხებანი წარსულ ზამთარში, გერმანელ ფაშისტთა ჯარებმა 1943 წლის გაზაფხულზე, 1942 წლის გაზაფხულისაგან განსხვავებით, ვერ შესძლეს გაეშალათ შეტევითი ოპერაციები წითელი არმიის წინააღმდეგ.

ომის ორი წლის მანძილზე წარმოებული ბრძოლების მსვლელობაში წითელმა არმიამ უდიდესი ზარალი მიაყენა გერმანელ ფაშისტთა ჯარებს ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ. თუ რამდენად სერიოზულია გერმანელთა ზარალი საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე წითელი არმიის ზარალთან შედარებით, ეს სჩანს შემდეგი ფაქტიური მონაცემებიდან:

გერმანიამ და მისმა მოკავშირეებმა ომის ორი წლის განმავლობაში მოკლულთა და ტყვეთა სახით დაჰკარგეს 6.400.000 ჯარისკაცი და ოფიცერი, დაჰკარგეს ყველა ყალიბის 56.500 ქვემეხი, 42.400 ტანკი, 43.000 თვითმფრინავი.

ამავე ხნის განმავლობაში სსრ კავშირის ზარალი მოკლულთა და უკვალოდ დაკარგულთა სახით შეადგენს 4.200.000 კაცს, ყველა ყალიბის 35.000 ქვემეხს, 30.000 ტანკს, 23.000 თვითმფრინავს.

გერმანიის ჯარებს ძლიერი დარტყმები აგემეს მამაცმა საბჭოთა პარტიზანებმა, გმირმა სახალხო შურისმგებლებმა. სამამულო ომის განმავლობაში მტრის მიერ ოკუპირებულ მთელ ტერიტორიაზე აქტიურად მოქმედმა პარტიზანულმა რაზმებმა გაულიტეს 300.000-ზე მეტი ჰიტლერელი არამზადა, მოაწყეს სულ ცოტა 3.000 მატარებლის მარცხი, ააფეთქეს და დასწვეს 895 ხაწყობი საჭურვლიანად და ხაომარ მასალიანად, დაანგრიეს 3.263 რკინიგზისა და გზატკეცილის ხიდი, მოსპეს მრავალი ასეული ტანკი, ჯავშანმანქანა, თვითმფრინავი, ქვემეხი, ავტომანქანა. თავიანთი მამაცური ბრძოლით საბჭოთა პარტიზანები ხელს უწყობდნენ ჩვენი ჯარების წარმატებებს.

ომის მსვლელობაში გერმანელებმა დაჰკარგეს უმეტესი ნაწილი თავიანთი კადრის დივიზიებისა და მეთაურ-ოფიცერთა ნაცადი შემადგენლობისა, აგრეთვე სამხედრო ტექნიკისა, რომელსაც გერმანელი ფაშისტი დამპყრობნი მრავალი წლის განმავლობაში ამზადებდნენ და აგროვებდნენ მსოფლიო ბატონობის მოსაპოვებლად. გერმანელთა ჯარების ამ ზარალმა საფუძვლიანად შეასუსტა ჰიტლერელთა სამხედრო მანქანა და ჰიტლერული სახელმწიფო.

ამრიგად, ორი წლის ბრძოლების მსვლელობაში საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე სავსებით ჩაიშალა გერმანელი იმპერიალისტების ავანტიურისტული გეგმები, რომლებიც ნავარაუდევი იყო საბჭოთა კავშირის ხალხთა დასამონებლად.

ომის მსვლელობაში სერიოზულად გაუარესდა ჰიტლერული გერმანიის სამხედრო, პოლიტიკური და საერთაშორისო მდგომარეობა.

გერმანიის შეიარაღებულ ძალთა სერიოზული დასუსტება სჩანს, უწინარეს ყოვლისა, იქიდან, რომ ამ უკანასკნელი წლის განმავლობაში გერმანელთა არმიამ ვერ მიაღწია რაიმე სამხედრო წარმატებას, არამედ, პირიქით, განიცადა დიდი სამხედრო მარცხები, ზედიზედ განიცდიდა დამარცხებას როგორც საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე, ისე ეგვიპტეში, ლიბიაში, ტრიპოლიტანიასა და ტუნისში. გერმანელი ფაშისტი დამპყრობნი ახლა იძულებული არიან საგანგებოდ უარჰყონ თავიანთი საკუთარი დოგმა ელვისებური ომის შესახებ, აღიარონ თავიანთი ძირითადი სამხედრო-პოლიტიკური გეგმების სრული უსაფუძვლობა და აშკარად განაცხადონ, რომ ომმა გაჭიანურებული, ხანგრძლივი ხასიათი მიიღო, ამასთან ილაყბონ, თითქოს გამარჯვებას ისინი „პოზიციურ ომში“ მოიპოვებენ. გერმანელები იძულებული გახდნენ სამხედრო სამსახურში გაეწვიათ გერმანიის მამრობითი მოსახლეობის ნაშთები, მათ შორის სამხედრო საქმეში გაუწრთვნელი მოხუცნი და მოზარდნი, ისინი ძალით ერეკებიან თავიანთ არმიაში ოკუპირებული ქვეყნების მამრობითს მოსახლეობას: პოლონელებს, ფრანგებს, ბელგიელებს, დანიელებს, სლოვაკებს, ჩეხებს და სხვ. ომის ორი წლის შემდეგ გერმანიის არმიაში აღმოჩნდა საფუძვლიანად შერყეული საბრძოლო სულისკვეთება ჯარებისა, ხოლო გამარჯვების იმედები კი ახლა თვით პირწავარდნილ ჰიტლერელ ვაიმეომრებსაც ეკარგებათ.

ამრიგად, ომის ორი წლის შედეგად, საფუძვლიანად შერყეულია ჰიტლერული გერმანიის სამხედრო ძლიერება, ხოლო გერმანელ ფაშისტთა არმია სერიოზულ კრიზისს განიცდის.

ომის ორი წლის განმავლობაში მკვეთრად გაუარესდა ფაშისტური გერმანიის პოლიტიკური მდგომარეობა, მნიშვნელოვნად დასუსტდა და წელში გაწყვეტილი აღმოჩნდა ჰიტლერული ზურგი. ეს იქიდან სჩანს, რომ გერმანიის მოსახლეობაში მატულობს რწმენის უქონლობა და პანიკური განწყობილებანი, გერმანელებს აღარა სჯერათ ჰიტლერელთა ზღაპრები გერმანიის ჯარების გამარჯვებებზე აღმოსავლეთში. ფაშისტური პრესა და რადიო სულ უფრო და უფრო ხშირად ემუქრებიან ანგარიშის გასწორებით იმ გერმანელებს, რომელნიც პანიკასა და ეჭვის სულისკვეთებას იჩენენ. გერმანია ადამიანთა რესურსების უმწვავეს ნაკლებობას განიცდის. ჰიტლერელები ნადირობენ მონებზე მათ მიერ ოკუპირებულ ევროპის ყველა ქვეყანაში, ისინი გერმანიაში მიერეკებიან მილიონობით უცხოელ მუშებს და ამათ ცალკეულნი შეავსონ გერმანიის მამრობითი მოსახლეობის კატასტროფული დანაკლისი. გერმანიის მრეწველობა ვერ ასწრებს შეავსოს სამხედრო ტექნიკის ის უდიდესი ზარალი, რომელიც გერმანიის არმიას ფრონტებზე მოსდის. ეცემა სამხედრო მრეწველობის საწარმოო ძლიერება, რასაც ცოტათი როდი უწყობს ხელს მოკავშირეთა ავიაციის დარტყმები გერმანიის სამრეწველო ცენტრებზე. ამასთან ერთად სწრაფად ირყევა და სულ უფრო და უფრო საშიში ხდება გერმანელთათვის ჰიტლერული გერმანიის ევროპული ზურგი. გერმანიის არმიის მიერ ოკუპირებულ ევროპის ქვეყნებში—იუგოსლავიაში, პოლონეთში, საფრანგეთში, ჩეხოსლოვაკიაში, ბელგიაში, ჰოლანდიაში, ნორვეგიაში, საბერძნეთში ხალხის მასები ირაზმებიან საზიზღარ დამპყრობთა წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლისათვის. ახლოა ის ჟამი, როცა თავისუფლებისმოყვარე სახელმწიფოთა არმიების საომარი მოქმედება შეუერთდება ჰიტლერის მიერ დამონებულ ევროპის ხალხთა შეიარაღებულ ბრძოლას გერმანელი ფაშისტი იმპერიალისტების წინააღმდეგ.

ამრიგად, ომის შედეგად ფაშისტური გერმანიის ზურგი საფუძვლიანად შერყეულია, გერმანიის სამხედრო ეკონომიკა სერიოზულად დასუსტებულია, ხოლო გერმანელების მიერ ოკუპირებულ ევროპის ქვეყნებში გაჩაღებულია საყოველთაო-სახალხო ბრძოლა ფაშისტ დამმონებელთა წინააღმდეგ.

სერიოზულად გაუარესდა აგრეთვე იტალია-გერმანიის ბლოკის საერთაშორისო მდგომარეობა. ეს იქიდან სჩანს, რომ ჰიტლერულმა გერმანიამ არა თუ ვერ მოახერხა ახალი მოკავშირენი მიემხრო, არამედ მას არ შეუძლია დარწმუნებული იყოს თავის ახლანდელ მოკავშირეებშიც. სამხედრო დამარცხებათა შედეგად შეირყა ჰიტლერული გერმანიის ავტორიტეტი მის მოკავშირეთა შორის. სულ უფრო და უფრო მატულობს გერმანიის იზოლაცია საერთაშორისო ასპარეზზე. ჰიტლერულმა გერმანიამ სავსებით გამოაშკარავა თავისი თავი მთელი მსოფლიოს თვალში, როგორც პირსისხლიანმა აგრესორმა და გამოიწვია თავისუფლებისმოყვარე ყველა ხალხთა საყოველთაო ზიზღი ფაშისტი მტარვალების წინააღმდეგ.

გერმანელმა ფაშისტმა იმპერიალისტებმა, დაჰკარგეს რა მათ მიერ წამოწყებული ომის სწრაფი და ხელსაყრელი დამთავრების რწმენა, სცადეს გაეთიშათ თავისუფლებისმოყვარე ერების ფრონტი ლაყბობით ზავის შესახებ. როგორც ცნობილია, გერმანელთა ეს ვერაგული გეგმა სამარცხვინოდ ჩაიფუშა, იგი დაიმსხვრა თავისუფლებისმოყვარე სახელმწიფოთა კავშირის სიმტკიცესა და ურღვევობაზე.

ამრიგად, ომის განმავლობაში იმატა ფაშისტური გერმანიის იზოლაციამ საერთაშორისო ასპარეზზე, გაკოტრდა გერმანელების ვარაუდები ანტიჰიტლერული კოალიციის შიგნით განხეთქილებაზე, ხოლო ფაშისტური სახელმწიფოების კავშირი დაშლის პირას დგას.

ყოველივე ეს იმას მოწმობს, რომ სამხედრო-პოლიტიკური და საერთაშორისო ვითარება არახელსაყრელი გახდა ჰიტლერული გერმანიისათვის, რომ მტრის ბანაკში ღრმა კრიზისია.

მაშინ როცა ჰიტლერული გერმანიის მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა, საბჭოთა კავშირის სამხედრო, პოლიტიკური და საერთაშორისო მდგომარეობა განმტკიცდა.

სამამულო ომის მსვლელობაში გაიზარდა საბჭოთა კავშირის საძხედრო ძლიერება. წითელი არმია მტრისათვის მრისხანე ძალად იქცა. იგი გამოიწრთო ბრძოლებში, დიდი სამხედრო გამოცდილება შეიძინა, რეორგანიზაცია უყო და გარდაჰქმნა თავისი რიგები ომის ახალი პირობებისა და მოთხოვნების შესაბამისად. საბჭოთა მეთაურები გახდნენ ახალი, მოქნილი ტაქტიკის—მანევრირების ტაქტიკის ოსტატები. მთელმა რიგმა უდიდესმა ბრძოლებმა, რომლებიც საბჭოთა ჯარებმა თავის სასარგებლოდ დაამთავრეს, დაგვანახვეს წითელი არმიის სტრატეგიისა და ტაქტიკის უპირატესობა ჰიტლერელთა ნაქები სტრატეგიისა და ტაქტიკის წინაშე. წითელ არმიას

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

20 ივნისის საღამოს ცნობა

20 ივნისის განმავლობაში ფრონტზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

ჩვენმა ავიაციამ ბარენცის ზღვაში ჩასძირა გერმანელთა ტრანსპორტი, ცეცხლი წაუკიდა მტრის ტანკერს და ორ ტრანსპორტს.

განვლილ კვირაში, 13-დან 19 ივნისამდე ჩათვლით, საჰაერო ბრძოლებში, საზენიტო არტილერიისა და ჯარების ცეცხლით მოსპობილია გერმანელთა 276 თვითმფრინავი. გარდა ამისა, მტრის აეროდრომებზე საბჭოთა ავიაციის თავდასხმების შედეგად მოსპობილი და დაზიანებულია მტრის დიდძალი თვითმფრინავი. ჩვენ ამავე ხნის განმავლობაში 94 თვითმფრინავი დავკარგეთ.

* * *

დასავლეთის ფრონტზე ჩვენმა ნაწილებმა გაჟლიტეს 120 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, მოსპეს მტრის საარტილერიო ბატარეა, 5 ტყვიამფრქვევი და 3 ნაღმსატყორცნი. ერთ უბანზე გერმანელთა ქვეითი ჯარის რაზმი ცდილობდა დაეზვერა ჩვენი თავდაცვა. 6 ნაწილის მებრძოლებმა თოფ-ტყვიამფრქვევის ცეცხლით გაჰფანტეს მტრის მზვერავები.

* * *

ბელგოროდის რაიონში 5 ნაწილის 11 მზვერავი უფროს ლეიტენანტ ამბ. დიევის მეთაურობით მიიპარა გერმანელთა პოზიციებთან და უეცარი იერიში მიიტანა მტერზე. ჩვენმა მებრძოლებმა ხიშტებით და გრანატებით მოსპეს 50-მდე ჰიტლერელი, ააფეთქეს მტრის 5 ძელმიწური საცეცხლე წერტი და ბლინდაჟი. მზვერავებმა წარმატებით შეასრულეს მათ წინაშე დასახული ამოცანა, ხელთ იგდეს ტყვეები და მშვიდობით დაბრუნდნენ თავიანთ ნაწილში.

* * *

ჩუგუევის რაიონში 5 ნაწილის არტილერისტებმა გაანადგურეს მტრის თვითმავალი ზარბაზნების ბატარია და საომარი მასალის აღალი. სხვა უბანზე მოსპობილია გერმანელთა ჯგუფი, რომელიც ცდილობდა დაეზვერა ჩვენი პოზიციები.

* * *

დონის როსტოვის დასავლეთით ჩვენმა არტილერისტებმა რამდენიმე ცეცხლითი თავდასხმა მოახდინეს მტრის პოზიციებზე. მოსპობილია ერთ ასეულამდე ჰიტლერელი, აფეთქებულია საომარ მასალათა საწყობი, ჩახშობილია მტრის რამდენიმე საარტილერიო და საღამმტყორცნო ბატარეის ცეცხლი. ჩვენი მზვერავთა რაზმი თავს დაესხა გერმანელთა ქვეითი ჯარის კოლონას. საბჭოთა მებრძოლებმა თოფ-ტყვიამფრქვევის ცეცხლით გაჟლიტეს 60 ჰიტლერელი და უდანაკარგოდ დაბრუნდნენ თავიანთ ნაწილში.

* * *

ლენინგრადის ფრონტზე ჩვენმა ქვეგანაყოფებმა მოსპეს ერთ ასეულამდე ჰიტლერელი. არტილერიისა და ნაღმსატყორცნების ცეცხლით დანგრეულია გერმანელთა 19 ძელმიწური საცეცხლე წერტი, 25 ბლინდაჟი და 6 სათვალთვალო პუნქტი.

* * *

როვნოს ოლქში მოქმედმა ჩაპაევის სახელობის რაზმის პარტიზანებმა გზატკეცილის უბანი დანაღმეს და ჩასაფრდნენ. მალე გამოჩნდა გერმანელთა 4 ავტომანქანა. პირველი ავტომანქანა ნაღმებზე აფეთქდა, დანარჩენებს ჩასაფრებულმა პარტიზანებმა სროლა აუტეხეს. მოკლულია 16 გერმანელი, მათ შორის ფაშისტთა 2 საოლქო ხელმძღვანელი და სხვა გერმანელი მოხელეები. რაზმ „სამშობლოსათვის“ პარტიზანებმა ლიანდაგიდან გადააგდეს გერმანელთა ჯარის ეშელონი. მოსპობილია 16 პლატფორმა საჭურველიანად და 2 საკლასო ვაგონი.

* * *

წითელი არმიის მხარეზე გადმოსულმა გერმანელთა 21-ე ავიაქვეითი დივიზიის ეფრეიტორმა გერმან სმ-ემ განაცხადა: „მე 9 თვე ვიმყოფებოდი ქალაქ სმოლენსკში და ვმსახურობდი იმ პოლკში, რომელიც ბანაკებსა და საპყრობილეებს იცავდა. სმოლენსკის საპყრობილის საკნები ყოველთვის გაჭედილი იყო პატიმრებით. პატიმართა შორის ბევრი ქალი და მოზარდია. პირადი დაკვირვებით და უნტერ-ოფიცერ შმიდტის ნაამბობით მე დავრწმუნდი, რომ ის, ვინც საპყრობილეში მოხვდებოდა, იქიდან უკვე ვეღარ გამოდიოდა. ერთხელ ჩემს თვალწინ გამოიყვანეს საპყრობილის ეზოში რუს პატიმართა ჯგუფი და დაუწყეს წამება. მთელი საათის განმავლობაში მათ აიძულებდნენ დაწოლილიყვნენ და ყველა ამდგარიყვნენ. ობერ-ფელდფებელი მოუღერი მე და სხვა ჯარისკაცებს გვეუბნებოდა, რომ მან ბევრი რუსი დახვრიტა. მან აგრეთვე სთქვა, რომ ყოველდღე მონაწილეობს დახვრეტაში, რაც ძალიან ეხება“.

* * *

ნორვეგიელ პატრიოტთა შეიარაღებული ჯგუფი თავს დაესხა საომარ მასალათა ქარხანას რაუფოსში. ქარხნის ძირითადი საამქროები გამოყენებული ყოფილა საწყობად. შეცვლ რაზმთან სროლის დროს პატრიოტებმა მოჰკლეს გერმანელი ოფიცერი. ტრონჰეიმში ნორვეგიელებმა დასწვეს გერმანელთა სავაჭრო გემი 3.000 ტონა წყალწყვისა. ჰამარის მახლობლად მარცხი განიცადა გერმანელთა მატარებელმა ჯარიანად.

21 ივნისის ღილის ცნობა

20 ივნისის ღამის განმავლობაში ფრონტზე არსებითი არაფერი მომხდარა.

* * *

დასავლეთის ფრონტზე ჩვენმა ნაწილებმა გაჟლიტეს გერმანელთა ერთ ასეულამდე ქვეითი ჯარი, დაანგრიეს 8 ძელმიწური საცეცხლე წერტი და ბლინდაჟი, მოსპეს მტრის სანაღმტყორცნო ბატარია და 5 ტყვიამფრქვევი. 6 შენაერთის სნაიპერებმა დღე-ღამის განმავლობაში 88 გერმანელი ვაჟლიტეს. სნაიპერმა ამბ. კუკუშკინმა მოჰკლა 4 ჰიტლერელი, სნაიპერებმა ამბ. სერომ სელეზნიოვმა და კრივოშეევმა სამ-სამი გერმანელი მოსპეს.

* * *

სევსკის რაიონში ჩვენმა არტილერისტებმა მოსპეს გერმანელთა 2 ქვემეხი, დაანგრიეს ბლინდაჟი, 2 ძელმიწური საცეცხლე წერტი და გაჰფანტეს მტრის ერთ ბატალიონამდე ქვეითი ჯარი. ჩვენი ერთ-ერთი ქვეგანაყოფის მზვერავებმა გაჟლიტეს 20 გერმანელი მესაზღვრე, რომლებიც სასაზღვრო სამუშაოებს ეწეოდნენ.

* * *

ლისიჩანსკის რაიონში მტრის ქვეითმა ჯარმა სცადა ბრძოლით დაეზვერა ჩვენი პოზიციები. ნაღმსატყორცნებისა და თოფ-ტყვიამფრქვევის ცეცხლით ჰიტლერელები გაფანტულ იქნენ. მავთულღობურების წინ დარჩა მტრის 60-ზე მეტი გვამი.

* * *

ლენინგრადის ფრონტზე მებრძოლთა ჯგუფმა უმცროს ლეიტენანტ ამბ. აზაროვის მეთაურობით მტრის განლაგებაში შეაღწია. მზვერავები მოულოდნელად დაესხნენ თავს მტრის ბლინდაჟებს და 14 ჰიტლერელი მოსპეს. მზვერავთა სხვა ჯგუფმა ღამით იერიში მიიტანა მტრის პოზიციებზე და გაჩაღებულ ბრძოლაში 40-მდე გერმანელი ჯარისკაცი გაჟლიტა.

* * *

კალინინის ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედი რაზმის პარტიზანებმა ლიანდაგიდან გადააგდეს გერმანელთა ჯავშნიანი მატარებელი, რომელიც ფრონტის ხაზისაკენ მიდიოდა. დაიმსხვრა ჯავშნიანი ორთქლმავალი, ჯავშნიანი ვაგონი და ორი პლატფორმა. კალინინელ პარტიზანთა სხვა რაზმმა ნაღმებზე აააფეთქა მტრის რკინიგზის ეშელონი. დამსხვრეულია ორთქლმავალი და ორი პლატფორმა ავტომანქანებიანად.

* * *

წითელი არმიის მხარეზე გადმოსულმა გერმანელთა 45-ე ქვეითი დივიზიის ჯარისკაცმა ავსტრიელმა ჰენრიხ ვ-მ განაცხადა: „რუსეთისაკენ მომავალი სამარშო ბატალიონის ჯარისკაცები მეტად გულგატეხილნი იყვნენ. ყველას ესმოდა, რომ ჩვენ აუცილებლად დასაღუპავად მივყავართ, რომ ადრე თუ გვიან ჩვენ გავიზარდებთ გერმანიის მე-6 არმიის ბედს, რაც მას სტალინგრადთან ეწია, და აღმოსავლეთის ფრონტზე დალუტულ სხვა გერმანელთა ბედს. გზაში გამოირკვა, რომ ყველა ჯარისკაცს, რომელნიც ჩემთან ერთად იმყოფებოდნენ ვაგონში, რომელიმე ახლო ნათესავი უკვე დაჰლუპვია რუსეთში. ზოგიერთი ამბობდა, რომ მათმა ოჯახებმა ორი-სამი და მეტი კაცი დაჰკარგეს. მე მოვხვედი ასეულში, სადაც მხოლოდ ორი გერმანელია. ყველა დანარჩენი ჯარისკაცი ავსტრიელია. ბევრ მათგანს არ სურს ომი და ამბობს, რომ ჰიტლერმა უკვე დაღუპა ასიათასობით ავსტრიელი“.

* * *

პინსკის ოლქის სოფელ იამნის მცხოვრებნი ტყეში გაიხიზნენ, რათა თავი დაეღწიათ ჰიტლერელთა მხრივ ძარცვისა და დეენისათვის. გერმანელებმა ალყა შემოარტყეს ტყეს და შეიპყრეს 16 მამაკაცი, 35 ქალი და 30 ბავშვი. სოფელ იამნის სრულიად უდანაშაულო მშვიდობიან მცხოვრებთა მთელი ეს ჯგუფი გერმანელმა ფაშისტმა არამზადებმა დახვრიტეს.

* * *

სომის დეპარტამენტში ფრანგმა თავისუფალმა მსროლელებმა ლიანდაგიდან გადააგდეს გერმანელთა 4 ეშელონი. კატასტროფების დროს მოკვდა და დაიჭრა სულ ცოტა 200 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. პარიზში პატრიოტებმა ბომბები შეაგდეს ჰიტლერელებით დასახლებულ ყაზარმასა და სასტუმროში. ბრესტის რაიონში თავისუფალი მსროლელები თავს დაესხნენ სამხედრო სატელეფონო-სატელეგრაფო სადგურს, მოჰკლეს 9 ჰიტლერელი, ხელთ იგდეს ძვირფასი აპარატურა და აფეთქეს შენობა.

ჩვენი ავიაციის თავდასხმები მტრის აეროდრომებზე

19 ივნისს ღამით ჩვენი შორმოქმედი ავიაცია დიდი ძალებით თავს დაესხა მტრის აეროდრომებს. განსაკუთრებით ეფექტიურად დაბომბილ იქნა ბრიანსკისა და კარაჩევის რაიონში მდებარე აეროდრომები. აღნიშნულია დიდი ყალიბის ბომბების აფეთქებანი აეროდრომებზე მდგარ მტრის თვითმფრინავებს შორის. დაბომბვის შედეგად ბევრგან ხანძარი გაჩნდა. იწვოდა თვითმფრინავები, ანგარები და საწყობები. ხანძრებს თან სდევდა მრავალი აფეთქება. ყველა ჩვენი თვითმფრინავი თავის ბაზებში დაბრუნდა.

გერმანელთა თვითმფრინავების თავდასხმა ქ. ვოლხოვზე

19 ივნისს საღამოს გერმანელთა 60-მდე თვითმფრინავმა სცადა თავს დასხმოდა ქ. ვოლხოვს. ჩვენმა ავიაგამანადგურებლებმა მტრის თვითმფრინავთა მეტი ნაწილი გაჰფანტეს და ქალაქთან არ მოუშვეს. უწესრიგოდ ჩამოყრილი ბომბებით ერთ უბანზე დაზიანებულ იქნა რკინიგზის ლიანდაგი. თავდასხმის მოგერიებისას საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია გერმანელთა 15 თვითმფრინავი. ჩვენ 2 თვითმფრინავი დავკარგეთ.

დაიწყო სახელმწიფოსათვის ქერის ჩაბარება

ლაგოდეხი („კომუნისტის“ საკ. კორ.). სოფ. ბუდიონოვკის ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობამ პირველი განალეწა ქერი, 3.800 კილოგრამის რაოდენობით, რაიონში პირველმა ჩააბარა სახელმწიფოს.

ამ დღეებში მასობრივად დაიწყება სახელმწიფოსათვის ქერის ჩაბარება.

ვ. ცირეკიძე

წესები

ორდენების, მედლების, საორდენო ლენტებისა და განმასხვავებელი ნიშნების ტარებისა

(დასასრული)

ხნიდან მარჯვნივ, წესების ამ პუნქტში მათი ჩამოთვლის რიგის მიხედვით. ორდენები, რომლებიც ერთ მწკრივში ვერ ეტევა, გადადის მეორე მწკრივში პირველის ქვემოთ. მეორე მწკრივი პირველის გაგრძელებას წარმოადგენს და ორდენები აქაც მარცხნიდან მარჯვნივ თავსდება აღნიშნული რიგის მიხედვით.

ერთი სახელწოდებისა და ხარისხის ორი ან მეტი ორდენის ტარებისას ეს ორდენები ერთიმეორის გვერდით განლაგდება მარცხნიდან მარჯვნივ, დაჯილდოების დროის მიხედვით.

4. უორდენებოდ და უმედლებოდ ტარებისას ყველა საორდენო ლენტი და მედლის ლენტი ტანსაცმელზე იბნევა მკერდის მარცხენა მხარეს.

ორი ან მეტი საორდენო ლენტის ან მედლის ლენტის ტარებისას ლენტები ერთიმეორის გვერდით იბნევა საერთო თამასაზე. ლენტები, რომლებიც ერთ თამასაზე ვერ ეტევა, გადადის მეორე თამასაზე, რომელიც ტანსაცმელზე იბნევა პირველი თამასის ქვემოთ.

ორდენებისა და მედლების ლენტები თამასებზე მარჯვნიდან მარცხნივ თავსდება შემდეგი რიგით: ლენინის ორდენი, წითელი დროშის ორდენი, სუვოროვის I ხარისხის ორდენი, კუტუზოვის I ხარისხის ორდენი, სუვოროვის II ხარისხის ორდენი, კუტუზოვის II ხარისხის ორდენი, სუვოროვის III ხარისხის ორდენი, კუტუზოვის III ხარისხის ორდენი, ალექსანდრე ნეველის ორდენი, სამამულო ომის I ხარისხის ორდენი, სამამულო ომის II ხარისხის ორდენი, შრომის წითელი დროშის ორდენი, წითელი ვარსკვლავის ორდენი, „საპატიო ნიშნის ორდენი, მედალი „ბრძოლისათვის“, „ბრძოლისადმი“, „ბრძოლისადმი“, „ბრძოლისადმი